



საქართველო მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულო
GEORGIA MARNEULI MUNICIPALITY REPRESENTATIVE
BODY



მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს სხდომის

ო კ მ ი N10

ქ. მარნეული

22.06.2017 წელი

სხდომას ესწრებოდნენ:

ბიუროს წევრები: -

ნაზი აბდულაევი, ვალერი მეტრეველი, ამირან გიორგაძე, ვანო ბურნაძე, კოტე ბოჭორძე, ირაკლი ბურნაძე, რაფიკ მუსაევი, ქამილ ალიევი, აბიდ ოსმანოვი, რამიზ გულმამედოვი.

სხდომას არ ესწრებოდა:

ნიკოლოზ გოგოჭური, რიჩარდ გიგანი, ვალი ისმაილოვი, გიორგი შუკაკიძე, გივი ქველაძე.

სხდომას ესწრებოდა:

მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის პირველი მოადგილე ზაურ ტაბატაძე, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ნინო ბერიძე.

განსახილველი საკითხების დღის წესრიგი:

1. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 ივნისის N03/7054 წერილის განხილვის შესახებ.
2. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 ივნისის N03/7056 წერილის განხილვის შესახებ.
3. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 ივნისის N03/5755 წერილის განხილვის შესახებ.
4. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის N03/7155 წერილის განხილვის შესახებ.
5. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის N03/7156 წერილის განხილვის შესახებ.
6. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის N03/7157 წერილის განხილვის შესახებ.
7. მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის N03/7158 წერილის განხილვის შესახებ.

განხილული საკითხები და მიღებული გადაწყვეტილებები:

1. დღის წესრიგით გათვალისწინებულ პირველ საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 ივნისის N03/7054 წერილით შემოსული დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით შედის ცვლილება ა.ა.ი.პ. „საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი“-ს ხარჯთაღრიცხვაში და ხდება მუხლიდან მუხლში თანხის გადატანა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

2. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეორე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს საფინანსო-საბიუჯეტო კომისიის თავმჯდომარემ კოტე ბოჭოიძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 ივნისის N03/7056 წერილით შემოსული დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით შედის ცვლილება ა.ა.ი.პ. „კულტურის ცენტრი“-ს ხარჯთაღრიცხვაში. ხდება მუხლიდან მუხლში თანხის გადატანა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

3. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მესამე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 16 ივნისის N03/5755 წერილით შემოსული დოკუმენტაცია, რომლის მიხედვით მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ითხოვს თანხმობას, რათა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ოთხი სარიტუალო სახლი გადაეცეს ა.ა.ი.პ. „სუფთა მარნეულს“, გამოითქვა აზრი, რომ სასურველია საკითხის განხილვა გადაიდოს შემდგომი სხდომისთვის, რათა უფრო საფუძვლიანად მოხდეს მისი შესწავლა, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი ამოღებული იქნეს საკრებულოს სხდომის დღის წესრიგიდან.

4. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეოთხე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის N03/7155 წერილით შემოსული დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ითხოვს თანხმობას, რათა სოფელ ყიზილ-აჯლოში მდებარე გამგებლის წარმომადგენლის ადმინისტრაციულ შენობაში არსებული 396,81 კვ.მ. ფართი უსასყიდლო უზურფრუქტის ფორმით, 2 წლის ვადით გადაეცეს ა.ა.ი.პ. „ბავშვი, ოჯახი, საზოგადოება“-ს, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

5. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეხუთე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის N03/7156 წერილით შემოსული დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელი ითხოვს თანხმობას შ.პ.ს. „კომუნალური მეურნეობა „ა“-ს, შ.პ.ს. „ახალი მარნეული“-ს და შ.პ.ს. საფეხბურთო კლუბი „ალგეთი“-ს ლიკვიდაციისათვის, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

6. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეექვსე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის N03/7157 წერილით შემოსული დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს 2017 წლის 22 მაისის N01/1724 წერილის საფუძველზე დგინდება იმ საავტომობილო გზების ჩამონათვალი, რომელზეც შესაძლებელი იქნება სასწავლო სვლის განხორციელება, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

7. დღის წესრიგით გათვალისწინებულ მეშვიდე საკითხთან დაკავშირებით, მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ირაკლი ბურნაძემ ბიუროს წევრებს გააცნო მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებლის 2017 წლის 20 ივნისის N03/7158 წერილით შემოსული დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც მარნეულის მუნიციპალიტეტის გამგებელმა წარმოადგინა დოკუმენტაცია შულავერის მიმდებარე ტერიტორიაზე ე.წ. „შულავერის აგარაკები“ დასახლების შექმნისა და შესაბამისი კატეგორიის მინიჭების შესახებ, რასაც ბიუროს წევრები დაეთანხმნენ და მიიღეს გადაწყვეტილება საკითხი განხილული იქნეს საკრებულოს სხდომაზე.

მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარემ მარნეულის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ბიუროს 2017 წლის მეათე სხდომა გამოაცხადა დახურულად.

მარნეულის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე:

ნაზი აბდულაევია